ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2556064

ნომერი: AR1378478

თარიღი : 15.02.2016

გაცემის თარიღი : 21.04.2016

გაცნობის თარიღი : 21.04.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის V მ/რ-ის ჩრდილოეთით / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი , V მ/რ -ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კოღუა პ/ნ 39001000367
- ვაჟა ფშაველა მე-2 კვარტალი მე- ბინა 67 მე19 კორპუსი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

2016 წლის 15 თებარვალს #AR1378478 განცხადებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე ალექსანდრე კოღუამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის V მიკრორაიონის ჩრდილოეთით, ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრორაიონის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.01.001.120) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა.

სამსახურმა საკითხი წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

საკითხთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად, «ზონალური» საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე. "ზონალური საბჭოს" 2016 წლის 07 აპრილის სხდომის ოქმი #17–ის რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ალექსანდრე კოღუას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის V მიკრორაიონის ჩრდილოეთით, ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრორაიონის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.01.001.120) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.